

ლადო პაპავა: სადამდე გაგრძელება ფასების ზრდა? სანამდეც გაუვათ, იქამდე!

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 7-13 თებერვალი, № 6, 2011

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში იაფი ფასების ეპოქა დამთავრდა. მან ამის მიზეზად ჩინელების გაზრდილი მადა დაასახელა. რატომ იზრება რეალურად ასე კატასტროფულად ფასები საქართველოში და სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს? – ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის განცხადებას, ჩინელებს მადა გაეზარდათ და იაფი ფასების ეპოქა დასრულდაო...

– ჯერ ერთი, ეს საკმაოდ დამამცირებელი გამონათქვამია ჩინელების მისამართით, მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მართლაც გაძვირდა საკვები პროდუქტები, დღეს საერთაშორისო დონეზე, ეკონომისტები, პროგნოზის გაკეთებისას არ ამბობენ იმას, რომ აწი ფასები მხოლოდ და მხოლოდ მოიმატებს. ბუნებრივია, საქართველოში, სადაც სასურსათო კალათაში 80 პროცენტი შემოტანილ პროდუქციას უჭირავს, ფასების ზრდა აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფასების ზრდის ტემპით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მეორე ადგილზეა ყირგიზეთის შემდეგ. იმ სამოქალაქო დაპირისპირებისა და რევოლუციური სიტუაციების მერე, რაც ყირგიზეთში 2010 წელს მოხდა, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ რა მოხდა საქართველოში? რატომ უნდა იყოს აქ ასეთი მაღალი ფასები, როცა ჩვენს მეზობელ სომხეთში 9,5 პროცენტით გაძვირდა პროდუქტი, აზერბაიჯანში კი – 5,7 პროცენტით.

– არის ასეთი შეფასებები, რომ საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ინფლაციას. მოდით, თქვენ აგვიხსენით, რატომ არის საქართველოში ასეთი მაღალი ინფლაცია?

–უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ეს სწორედაც არის საქართველოს მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგი. მისი ყოველი ნაბიჯი, რასაც ანტიკრიზისულ ღონისძიებად წარმოგვიჩენენ ხოლმე, სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციის გაღრმავებას უწყობს ხელს. ახლა კონკრეტულად ვისაუბროთ.

ინფლაციასთან დაკავშირებული პრობლემები, უწინარეს ყოვლისა, არის ქვეყნის ცენტრალური ბანკის საზრუნავი, რომელმაც უნდა მოახდინოს ფულის მასის რეგულირება. იანვრის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ მოაწყო შეხვედრა რამდენიმე ექსპერტთან, მათ შორის გახლათ თქვენი მონა-მორჩილი. სიმართლე გითხრათ, შეხვედრის შემდეგ დამრჩა იმის განცდა, რომ ეროვნული ბანკი სრულად ფლობს სიტუაციას და ამ პრობლემის მოსაგვარებლად იყენებს ყველა ინსტრუმენტს. ასე რომ, მისთვის სასაყვედურო ამჯერად არაფერი მაქვს, მაგრამ სულ სხვა არის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც, როგორც გითხარით, ნაცვლად იმისა, რომ ინფლაცია მოთოკოს, ყველანაირად ხელს უწყობს მის განვითარებას. ვიტყვი ძალიან მარტივ რამეს, რაც დღეს ძალიან აქტუალურია. პრეზიდენტმა ანტიინფლაციურ ღონისძიებად დაასახელა 20 ლარიანი ვაუჩერების დარიგება მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ნაწილობრივ დასაფარად. ეს, თითქოსდა, მოსახლეობისთვის სოციალური დახმარებაა. თითოეული ოჯახისთვის დარიგებული ეს 20 ლარი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ინფლაცია გაიზარდოს და საკვებ პროდუქტებზე ფასები კიდევ უფრო გაძვირდეს. ძალიან მარტივი რამ არის, ბაზარზე გაჩნდება დამატებითი ფული და ფასები ისევ მოიმატებს.

ახლა სხვა ხარჯებზე მოგახსენებთ, რომელიც ასევე ინფლაციის გაღრმავებას უწყობს ხელს. მაგალითად, ჩვენი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიდის გზების მშენებლობაზე. გზების მშენებლობა გრძელვადიან პერიოდში გაძლევს ეფექტს, იმიტომ რომ გზის გარეშე ეკონომიკა ვერ განვითარდება, მაგრამ იმ პერიოდში, როცა გზას აგებ, მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ექნება შედარებით მაღალი ინფლაცია, მშენებარე გზა პროდუქტი ხომ არ არის, ეს არის მხოლოდ ხარჯი, ამიტომ გზა უნდა გააკეთო ერთხელ და ხარისხიანად.

როცა მეორედ და მესამედ აგებ ერთსა და იმავე გზას, ეს იმას ნიშნავს, რომ ფულს ყრი. მაგალითად, გორთან გაყვანილი მაგისტრალი რამდენიმე თვეში აყარეს და ხელახლა დააგეს. ვის ჩამოეწერა ეს ხარჯი? გნებავთ, გომბორზე დაგებული გზა, რომელიც სასწრაფოდ გაკეთდა იმიტომ რომ პრეზიდენტს მოუნდა გაეგლა. შემოდგომაზე გავიარე ამ გზაზე და რამდენიმე ადგილას საფარი უკვე სერიოზულად დაზიანებული იყო. გაზაფხულზე ის უკვე მთლიანად თავიდან გასაკეთებელი იქნება. არ შეიძლება გზა დაიგოს მხოლოდ პრეზიდენტის გასასეირნებლად, იმ გზაზე სხვადაც ხომ უნდა გაიაროს.

არის კიდევ ისეთი ხარჯები, რომელიც აბსოლუტურად გაუგებარია. ამისხნას ვინმემ, ამ პატარა, გაჭირვებულ ქვეყანაში რა საჭიროა პარლამენტის ორი შენობა? ეს ხარჯი არის თავიდან ბოლომდე ინფლაციური. პარლამენტის ნებისმიერ წევრს თბილისიდან რამოდენიმე საათში შეუძლია ჩავიდეს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. რაში დაგვჭირდა მეორე დედაქალაქი? ქუთაისში მარტო პარლამენტის შენობას ხომ არ აშენებენ, არამედ მთავრობის რეზიდენციასაც. როცა ყაზახეთის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დედაქალაქი ალმა-ათიდან ასტანაში გადაეტანათ, ჰქონდათ არგუმენტირებული ახსნა, რომ რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ ადგილას ყაზახური ფაქტორი გაძლიერებულიყო. თან ყაზახეთს ამისთვის ნავთობიც აქვს, გაზიც და შესაბამისი ფინანსური რესურსიც. ქუთაისში არც ეთნიკური პრობლემაა და რაც მთავარია, არა ვართ ჩვენ მდიდრები. მითუმეტეს, როცა აღიარებ, რომ ქვეყანაში კრიზისია, რა საჭიროა, ასეთი ინფლაციური ხარჯები? ის, რომ პარლამენტის შენობის აშენება სახელდება რეგიონის განვითარების საფუძვლად, ეს ცალკე გაუგებრობაა. სამაგიეროდ, ცხადია, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა პოლიტიკური პროცესების დასაკნინებლად არის საჭირო.

ასევე სრულიად გაუგებარია, როცა პრეზიდენტი მუდღეოდ საუბრობს ქამრების შემოჭერაზე და ამ დროს ბიუჯეტში დაფიქსირებულია 800 მილიონამდე „სხვა ხარჯები“, როცა არცერთ დარგში არ არის წარმატებები, ამ დროს მინისტრები საკუთარ თავს უნიშნავენ პრემიებს, რომლებიც რამდენჯერმე აღემატება ხელფასს.

ეს რაც შეეხებოდა ხარჯვით ნაწილს, ახლა, ვნახოთ, რატომ აქვს ქვეყანას მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა? ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოიკვეთა სამი დარგი. პირველი – ინფრასტრუქტურის განვითარება, მეორე – ტურიზმი, მესამე კი გახლავთ სოფლის მეურნეობა. პირველზე, ანუ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უკვე ვთქვით, რომ ეს არის ინფლაციური, მაგრამ მაინც გამართლებული ხარჯია. რაც შეეხება ტურიზმს, როცა ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა, ტურიზმის განვითარება მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. პრეზიდენტი ამბობს, ჩინელებმა ჭამა დაიწყეს და ამიტომ ვართ ცუდადო, კი მაგრამ, აქ ჩამოსულმა ტურისტმა არ უნდა ჭამოს? რაც გვაქვს, იმაში ხომ უნდა შეგვეზიაროს? ეს ნიშნავს, რომ პროდუქტზე მოთხოვნა გაიზრდება. ჩვენი წარმოება არ გვაქვს, ამიტომ მეტი პროდუქტი უნდა შემოიტანონ და მეტი ფასი დაადონ. ტურიზმის განვითარება ნიშნავს, რომ ქვეყანაში შემოდის დამატებითი მჭამელი და ეს ნიშნავს ფასების გაზრდას. ტურისტის შემოსვლა სხვანაირადაც უწყობს ხელს ინფლაციას. ტურისტი რომ შემოდის, შემოაქვს დოლარი, მაგრამ დოლარს ხომ ვერ გამოიყენებს, უნდა იყიდოს ლარი, შესაბამისად, მოთხოვნა გაიზრდება ლარზე. ეროვნულმა ბანკმა ტურისტებიდან შემოსული დოლარები უნდა იყიდოს და ლარი უნდა გაყიდოს. მიმოქცევაში ლარის მასა გაიზრდება და ინფლაციას შეუწყობს ხელს.

ტურიზმი რომ არ იქცეს ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად, საჭიროა განვითარდეს სოფლის მეურნეობა. ეს პრეზიდენტმაც თქვა, მაგრამ მარტო ლაპარაკი არ კმარა. მაგალითად, ვიცით, რომ წელს ხორბლის მოსავალი მცირე იქნება, რადგან თბილი ზამთარია და მდრღნელებმა დათესილი მარცვალი შეჭამეს. ამას თუ ქიმიური საშუალებებით არ ებრძოდე, არაფერი გამოვა. ამბობენ, რომ შემოიტანეს განსაკუთრებული ჯიშის თესლი და საქართველო გახდება სიმინდის ექსპორტიორი, კი, მაგრამ რითი იყიდის ამ თესლს ჩვენი გლეხი? გარდა ამისა, ტექნიკაა საჭირო, საწვავია საჭირო, სასუქებია საჭირო. ამ დროს კი ამ დარგის კურატორი მინისტრი, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საუბრისას, გვიხსნის, თუ რა პერსპექტივა აქვს საქართველოდან ბაყაყების ექსპორტს. ადრე, თურმე, ცოცხალი ბაყაყები გაჰქონდათ საფრანგეთში, ახლა ბაყაყის თათები გაააქვთ და ეს უკეთესიაო.

ლაპარაკობს ნიანგების მოშენებაზე... ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ლაპარაკობენ ბურების ჩამოსახლებაზე. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსახლეობის დასახლების და დასაქმების პრობლემა. აი, ეს ყველაფერი ერთად თავმოყრილი იწვევს ინფლაციას და ჩინელების გაზრდილ მადას ნუ დავაბრალებთ ამას.

– ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, სანამდე გაგრძელდება ფასების ზრდა? კვეზერელი ამბობს აპრილ-მაისამდეო, მაგრამ ის რასაც ამბობს, ყველაფერი უკუღმა ხდება...

– ქალბატონი ქობალია კი ამბობს ფასები შემოდგომაზე დაიწყებს კლებასო. ამ შემთხვევაში მან უფრო ჭკუასთან უფრო ახლოს მყოფი რამე თქვა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ აპრილი და მაისი სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე ყველაზე მძიმე თვეებია, ახალი მოსავალი ჯერ არ არის და მარაგიც უკვე მიღებულია, ამიტომ აპრილი და მაისი ყველაზე უფრო ძვირია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორი კაცის ხელში არის ჩვენი სოფლის მეურნეობა. ქობალიას ნათქვამი იმიტომ არის ჭკუასთან ახლოს, რომ შემოდგომაზე არის მოსავალი და ფასები ყოველთვის იკლებს.

– ბატონო ლადო, ასეთ ვითარებაში რა ელის საერთოდ ჩვენს ეკონომიკას და რა ელის ჩვენს მოსახლეობას?

– მოდით, ეკონომიკას ცალკე ნუ განვიხილავთ. ქვეყნის ეკონომიკა მიდის იქითკენ, საითკენაც მიდის ქვეყანა. ქვეყანა კი მიდის ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცებისაკენ. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ნიკიტა ხრუშოვის მმართველობის პერიოდს, რომელიც ხასიათდებოდა “სუბიექტური ვოლუნტარიზმით”. ის ქვეყანას მართავდა თავისი პირადი “ხუმტურებიდან” გამომდინარე. ასე იმართება დღეს ჩვენი ქვეყანაც. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში რამდენიმე მილიონი უნდა დაიხარჯოს ძეგლებზე, კონცერტებზე. სადამდე გაგრძელდება ფასების ზრდაო, მკითხეთ. სადამდე? სადამდეც გაუვათ, იქამდე! ამიტომ მოდი, მარტივ ეკონომიკაზე ნუ ვილაპარაკებთ. ერთად უნდა განვიხილოთ ყველაფერი – ის შეურაცხყოფაც, რაც მიაყენეს ომის ვეტერანებს, როდესაც პოლიციელები ურტყამდნენ წიხლებს, ის დამოკიდებულებაც, რაც დევნილი მოსახლეობის მიმართ აქვს ხელისუფლებას და ის ეკონომიკური პოლიტიკაც, რომელიც ინფლაციის გაღრმავებისა და ხალხის გაღარიბებისკენ არის

მიმართული. ეს ყველაფერი გაგრძელდება მანამ, სანამ გაუვათ. არაბულმა ქვეყნებმა ვეღარ გაუძლეს, ხომ ხედავთ, ტურიზმის ქვეყანაში მოხდა დიდი აჯანყება, ტურიზმმა, პირამიდებმა, რომლის სანახავად მთელი მსოფლიო ჩადიოდა, ეგვიპტის ეკონომიკა ვერ განავითარა. რა ხდება, გვინდა ეგვიპტის სცენარი? ესენი დარწმუნებული არიან, რომ ეს სცენარი ჩვენთან არ განმეორდება, რადგან ჩვენს ქვეყანაში ხალხი არის „დაჩმორებული“, ოპოზიცია კი საერთოდ არის თუ არა, ვერ გაიგებ, ამიტომ რასაც უნდათ, აკეთებენ და რაც მთავრია, ეს ყველაფერი არის კონსტიტუციით „გაპრავებული“. ხელისუფლება პრაქტიკულად არც მაღავეს, რომ ქვეყანა მიჰყავს ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცებისაკენ. ამის დასტურია არაერთგზის გაცხადებული სინგაპურიზაციისკენ აღებული კურსი, სინგაპურში უკვე 50 წელია ერთი პარტიაა ქვეყნის სათავეში. სააკაშვილი ამბობს, ჩვენ 70 წელი უნდა ვიყოთ. ესეც გარკვეული პარალელის საფუძველს გვაძლევს, 70 წელი რომელი პარტია იყო სათავეში, ყველას გვახსოვს. მე არ ვიცი, ესენი რამდენი წელი იქნებიან ქვეყნის სათავეში, მაგრამ სანამ იქნებიან, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას არ ველი – რაც უფრო გაჭირვებული იქნება კაცი, მით უფრო ადვილია მისი ხმის ყიდვა. გაჭირვებულ კაცს სულ რაღაც 20 ან 50 ლარად დაიყენებ გვერდით. ეკონომიკურად ძლიერი კაცი კი ამ შეთავაზებას შეურაცხყოფად ჩათვლის.

ესუბრა თუა ასათიანი